საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/3670-17

„30" 10 2017 წ.

შპს „რ-რადიოს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 26 ოქტომბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, დანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო შპს „რ-რადიოსთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის, კერძოდ, სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების განუთავსებლობის გამო, გადაიდო 2017 წლის 2 ნოემბერს, 15:00 საათზე.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის შეტყობინება (N03/3573; 23.10.2017), რომელსაც ერთვის კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (№შ-10/8051-17; 17.10.2017) – 2 ფურცელი.

ნათელა ჯანელიძე

კომისიის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/3573-17

"23" 10 2017 წ.

შპს „რ-რადიოს"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 26 ოქტომბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „რ-რადიოსთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის, კერძოდ, სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების განუთავსებლობის გამო. (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (№შ-10/8051-17; 17.10.2017).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. **კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (№შ-10/8051-17; 17.10.2017) – 1 ფურცელი.**

იოსებ ხარებავა

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ქ-ნ ე. ჭახრაკიას

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

ვ. ბექაური
17.10.2017წ.

ოვაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ.კახი ბექაურს

ზუალური მედია მომსახურების რეგულირების
ტის წამყვანი სპეციალისტის იოსებ ბაღაშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო კახი,

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ შპს „რ-რადიოს" (ბრენდული სახელი - რადიო „მონტე-კარლო") ეთერში 2017 წლის 22 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით არ განთავსებულა არც ერთი **საზოგადოებრივ-პოლიტიკური** გადაცემა.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის X) ქვეპუნქტის თანახმად საერთო მაუწყებლობა არის „არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობა." შპს „რ-რადიოს" კომისიაში ავტორიზაცია გავლილი აქვს საერთო მაუწყებლობასთან. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის განუთავსებლობა წარმოადგენს მათ მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევას.

გთხოვთ, აღნიშნული სამსახურებრივი ბარათი რეაგირებისათვის გადაეცეს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

იოსებ ბაღაშვილი
17.10.2017

17.10.2017